პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 36 (4546) 20 თებერვალი, კვირა. 1972 წ. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ახალი ამბები

● დრამენი, 17 თებერვალი. ბურთიან ჰოკეიში იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატის II ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა ახალ გამარჯვებას მიაღწია — ძლიერ თოვაში ანგარიშით 4:0 სძლია ნორვეგიის გუნდს. ამავე დღეს შვედებმა დაამარცხეს ფინელები — 5:1.

● ვოროშილოვგრადი, 17 თებერვალი. გუშინ აქ დაიწყო სსრ კავშირის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის წარმომადგენლები. ტურნირი უხეიროდ დაიწყო თბილისელმა თ. რამაზაშვილმა, რომელმაც ანგარიშით 0:3 წააგო მოსკოველ ვ. ფურსოვთან.

● ტალინი, 18 თებერვალი. ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე ა. ანდრეიკო (რიგა) — ი. კუპერმანის (კიევი) მატჩის XIX პარტიაც ყაიმით დამთავრდა. ანგარიში გახდა 9,5:9,5.

## ახალი ამბები

# ნორჩ ფრენბურთელთა წარმატება

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში დამთავრდა თბილისის პირველობა ფრენბურთში. გათამაშება საბჭოთა საქართველოს 51-ე წლისთავს მიეძღვნა.

ქალთა ტურნირში წარმატებით გამოვიდნენ თბილისის განათლების განყოფილების ნორჩი სპორტსმენები. ისინი არც ერთხელ არ დამარცხებულან და ვადამდე გაინაღდეს საპატიო პრიზი.

დანარჩენი ადგილების განაწილებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ფიზკულტურის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის გუნდების შეხვედრას. ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა დამაჯერებლად ითამაშეს და გაიმარჯვეს — 3:0 (15:9, 15:12, 15:1). ამით ისინი II ადგილზე გავიდნენ. III ადგილი ხვდა პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდს.

ვაჟთა შეჯიბრების გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ქვეჯგუფებში გამარჯვებულები — თბილისის განათლების განყოფილებისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდები. წარმატება აქაც ჭაბუკ ფრენბურთელებს ხვდათ. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1 (15:6, 12:15, 15:12, 15:13). III ადგილზე გავიდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის ფრენბურთელები, რომლებმაც ამ ადგილისთვის შეხვედრაში სძლიეს დინამოელებს — 3:2.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქალთა შეჯიბრებაში ფაქტიურად მონაწილეობდნენ მხოლოდ ორი ორგანიზაციის სპორტსმენები — „ბურევესტნიკი" (4 გუნდი) და თბილისის განათლების განყოფილება (2 გუნდი). საკითხავია, რატომ არ გამოვიდნენ სარბიელზე „შრომითი რეზერვების", „განთიადის", „ლოკომოტივის", „სპარტაკის" ფრენბურთელები?

ვაჟთა ტურნირი უფრო წარმომადგენლობითი იყო. აქ ოთხი ორგანიზაციის — „ბურევესტნიკის", „დინამოს", „ლოკომოტივისა" და თბილისის განათლების განყოფილების გუნდები ასპარეზობდნენ. მაგრამ გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ სტუდენტურ გუნდებს შორის ვერ ვიხილეთ ქალაქის ორი წამყვანი კოლექტივის — პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის სპორტსმენები.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდი სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის II ჯგუფში თამაშობს და ამიტომ ვერ გამოვიდა საქალაქო შეჯიბრებაში. სამაგიეროდ, ამავე ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის ვაჟთა კოლექტივების ხელმძღვანელები, ჩვენი აზრით, თავს ვერაფრით გაიმართლებენ.

შეიძლება გვითხრან, რომ ჩემპიონატის დრო უხეიროდ იყო შერჩეული (სტუდენტური არდადეგების გამო), მაგრამ ხომ შეძლეს უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტის ქალთა გუნდებმა ტურნირში მონაწილეობა?

ფ. ლეონიძე.

# პროტესტის დეპეშა

როგორც ცნობილია, 10 თებერვალს მოსკოვში სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის მიერ გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოცხადდა სსრ კავშირისა და აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციების წარმომადგენელთა წინასწარი შეთანხმება, რომ ბ. სპასკი (სსრ კავშირი) — რ. ფიშერის (აშშ) მატჩი 25 ივნისიდან რეიკიავიკში (ისლანდია) უნდა გაიმართოს. ეს შეთანხმება ამერიკელ დიდოსტატს არ ეჭაშნიკა და უარი განაცხადა. მსოფლიო პირველობის გათამაშების წესის მიხედვით, საკითხი ფიდე-ს ბიუროსა და ბოლოს თვით პრეზიდენტს — დოქტორ მ. ეივეს უნდა განეხილათ.

როგორც „ლელოს" 17 თებერვლის ნომერში ვიუწყებოდით, ამსტერდამში გახმიანდა, თითქოს მატჩის პირველი ნახევარი (12 პარტია) დაინიშნა ბელგრადში, მეორე (12 პარტია) — რეიკიავიკში. ეს იყო ფიდე-ს პრეზიდენტის მ. ეივეს გადაწყვეტილება. ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იტყობინება, რომ ამ ცნობამ ისლანდიის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის გ. ტორარინსონის გაკვირვება გამოიწვია.

მ. ეივეს გადაწყვეტილება არღვევს ფიდე-ს წესებს მსოფლიო ჩემპიონის სახელზე მატჩის ჩატარების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, 17 თებერვალს სსრ კავშირის ფედერაციამ მ. ეივეს პროტესტის დეპეშა გაუგზავნა. მასში ნათქვამია, რომ სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის პოზიცია, რომელიც 10 თებერვალს მოსკოვში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოცხადდა, ძალაში რჩება.

# „სოვეტსკი სპორტის" მადლობა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა ამ დღეებში მოსკოვიდან ბარათი მიიღო. გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" რედაქცია და გამომცემლობა დიდ მადლობას უხდიან საქართველოს ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს გაზეთის მასობრივად გავრცელების საქმეში მიღწეული მაღალი მაჩვენებლებისთვის.

„სოვეტსკი სპორტის" მკითხველთა წრის გაფართოებისთვის განსაკუთრებით კარგად იმუშავეს თბილისის (თავმჯდომარე გ. შარაშიძე), ზუგდიდის (გ. ლოგუა) საქალაქო, ახალქალაქისა (კ. ოვანესიანი) და დუშეთის (მ. კარიაული) რაიონების ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტებმა.

# „...შემდეგი სადგურისკენ"

თბილისის რკინიგზელ ხელბურთელთა გუნდს სულ რაღაც სამი წლის ისტორია აქვს. შეჯიბრებებში ხშირად მონაწილეობამ ახალბედა კოლექტივს მალე შესძინა გამოცდილება. წლეულს გუნდი საკუთარი ძალის რწმენით გაემგზავრა უკრაინის ქალაქ კოლომიაში, „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე.

სარბიელზე თბილისელთა გუნდი ამიერკავკასიის რკინიგზელთა სახელით წარსდგა. მოსკოვის, ჩრდილოეთ კავკასიის, ვორონეჟის, ოდესა-კიშინიოვის, შუა აზიის, ლვოვისა და ბაქოს რკინიგზების გამოცდილ კოლექტივებთან პაექრობაში მან III საპრიზო ადგილი დაიკავა.

რკინიგზელ სპორტსმენებს სჯერათ, რომ ეს მიღწევა მათ გამარჯვების „შემდეგი სადგურისკენ" უხსნის გზას.

თ. თენგოშვილი.

## 19 45

◆ ოდესა, 19 თებერვალი. დღეს აქ სტარტი აიღო ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრემ — სარბიელზე 6 გუნდი (ოდესის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ხარკოვისა და ალმა-ათის „ბურევესტნიკი", ვოროშილოვგრადის „ზვეზდა", ირკუტსკის „დინამო", დონის როსტოვის ასკ) გამოვა. საუკეთესო კოლექტივების მეორე ექვსეული (ცსკა, ლენინგრადის „ავტომობილისტი", რიგის „რადიოტექნიკი", ტალინის „კალევი", კიევის „ლოკომოტივი", მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი) 20 თებერვალს დაიწყებს ტურნირს ლენინგრადში. ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპი მარტში გაიმართება ვოროშილოვგრადში, სადაც ყველა 12 გუნდი დარჩენილ 6-6 მატჩს გაითამაშებს.

# ლენინგრადის „სპარტაკი" ნახევარფინალში

ლენინგრადი, 18 თებერვალი. ადგილობრივი „სპარტაკის" კალათბურთელ ქალთა გუნდმა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების აქ გამართულ განმეორებით მეოთხედფინალურ მატჩშიც სძლია სოფიის „ლოკომოტივს" — 70:49 (41:28) და ნახევარფინალში გავიდა.

# ლიდერობენ უნივერსიტეტისა და „სინათლის" კალათბურთელები

ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გრძელდება თბილისის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა უძლიერესი გუნდების შესარჩევი ტურნირი: მონაწილენი იბრძვიან ზამთრის რესპუბლიკური შეჯიბრების საგზურებისთვის.

ქალთა ტურნირში ლიდერობენ უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებმაც ორი გამარჯვების შემდეგ დაამარცხეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წარმომადგენლებიც — 50:39 (27:23). II ადგილზე არიან თბილისის განათლების განყოფილების სპორტსმენები, რომლებმაც ორი გამარჯვება იზეიმეს: დაამარცხეს დინამოელები — 53:34 (29:16) და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები — 60:51 (34:23), თავად კი დამარცხდნენ „უშბასთან" — 47:51 (20:25).

ვაჟთა შორის ლიდერობა ხელთ იგდო „სინათლემ", რომელმაც სამივე შეხვედრა მოიგო. აღსანიშნავია მისი გამარჯვება უნივერსიტეტის ძლიერ გუნდთან — 69:61 (36:25). ამ მატჩში საუკეთესო სნაიპერი იყო სპორტის ოსტატი ა. კაზანჯიანი („სინათლე"), რომელმაც გუნდს 22 ქულა შესძინა. სტუდენტთა შორის თავი ისახელა ა. ზაცარინმა — 18 ქულა.

შეჯიბრება გრძელდება.

ლ. კნოლევილი.



ამ რამდენიმე ხნის წინათ მოსკოველები სპორტის ახალ სახეობას — სკიიორინგს გაეცვნენ. ესაა რბოლა მოთხილამურეებისა, რომლებიც მოტოციკლისტებს მიჰყავთ ბუქსირით. ტრასა, სადაც შეჯიბრებები იმართება, სამთოსათხილამურო დისტანციას მოგვაგონებთ.

* * *

სურათზე: სკიიორინგში მოასპარეზეები დისტანციაზე.

ვ. ხაჩკოვანიანის ფოტო.

(საკდესი).



სსრ კავშირის ჩემპიონატი

# 54:54 და — წაგება

თბილისი. სპორტის სასახლე. 18 თებერვალი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 58:62 (22:35, 54:54).

„ბურევესტნიკი“: ბიჭიაშვილი (გუნდს შესძინა 16 ქულა), ალთაბაევი (15), ძიძიგური (13), ჩხიკვაძე (9), გლურჯიძე (5), ფირცხალაიშვილი, ლიბრაძე.

„სპარტაკი“: ივანოვი (15), ბიკოვი (11), ფიოდოროვი (10), ბელოვი (8), შტუკინი (6), არზამასკოვი (4), ვოლჩკოვი (4), ბოლშაკოვი (2), იუმაშევი (2), როჟინი.

მსაჯები. ა. კიაბი (ტალინი), პ. ბუივიდასი (კლაიპედა).

დუბლიორები—94:69 (40:29) „სპარტაკის“ სასარგებლოდ.

ცოტას გაწყდა ვირწმუნეთ, რომ ციფრი 13 ნავსია: ჩვენი სტუმრებისთვის ეს შეხვედრა სწორედ მეცამეტე გახლდათ და არსად მათ ისე არ გასჭირვებიათ მოგება, როგორც საანგარიშო მატჩში. ჩვენ შორს ვდგავართ იმ აზრისგან, რომ დღევანდელი მეტოქეების თამაშის კლასის თანაბრობა ვამტკიცოთ, მაგრამ ბურევესტნიკელთა სპორტული ჟინისა და თავდაუზოგავი ბრძოლის იმედი ნამდვილად გვქონდა.

მატჩის დასაწყისი მასპინძლებს სასიკეთოს არაფერს უქადდა. სტუმრები პირველივე წუთიდან დაწინაურდნენ და ტაიმის ბოლომდე ხელიდან არ გაუშვიათ ინიციატივა.

არც შესვენების შემდეგ დაუთმიათ ეს უპირატესობა — ლენინგრადელები წინ იყვნენ 10-12 ქულით. და აი, დადგა მეორე ნახევრის მე-13 (!) წუთი. სტუმრები 7 ქულით (50:43) არიან წინ. ძიძიგურის, ალთაბაევისა და ბიჭიაშვილის ზუსტი ტყორცნები და... ლენინგრადელთა რიგებში დაბნეულობაა. თამაშის სადავეებს სტუდენტები ფლობენ. მერე ხან ერთი გუნდია ერთი ქულით წინ, ხან მეორე. 24 წამი აკლია მატჩის დამთავრებას და ჩხიკვაძე-ორ საჯარიმოს ისვრის (ანგარიშია 54:53 სტუმართა სასარგებლოდ). ჩხიკვაძემ ერთი ჩააგდო, მეორე ვერა. დროც ამოიწურა...

დამატებით ხუთ წუთში ლენინგრადელებმა შეძლეს ძნელი გამარჯვების მოპოვება.

ა. მხეიძე.

* * *

სურათზე: ბურთით ხელში — ჩხიკვაძე (№ 13).

მ. ზარგარიანის ფოტო.



# ■ აგრესიული სტუმარი
# ■ ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ

18 თებერვალს გაიმართა კიდევ ორი მატჩი.

მოსკოვი. ადგილობრივი დინამოელები რევანშის აღების დიდი სურვილით გამოვიდნენ კიევის „სტროიტელის“ წინააღმდეგ. დასაწყისში მათ კარგად წაუვიდათ საქმე და იყო მომენტი, როცა 14 ქულით იგებდნენ კიდეც. ტაიმის დასასრულს კიეველებმა შეძლეს სხვაობის 3 ქულამდე დაყვანა — 37:40.

შესვენების შემდეგ კიეველებმა მოედანზე ს. კოვალენკო გამოიყვანეს. ამან მათს შეტევებს მეტი სიმძაფრე მისცა. მატჩის დასასრულამდე 6 წუთით ადრე ანგარიში საყაიმოა — 64:64. მე-19 წუთისთვის სტუმრები 2 ქულით იგებდნენ — 70:68, ხოლო საფინალო სასტვენმა კიეველთა გამარჯვება აღნიშნა — 73:68.

ტალინი. ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ მეორე წრეში პირველი გამარჯვება იზეიმა ტარტუს „კალევმა“. მან მინიმალური ანგარიშით მოუგო კაუნასის „ჟალგირისს“ — 76:75.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 13 | 13 | 0 | 912—810 | 13 |
| ცსკა | 12 | 11 | 1 | 1024—816 | 11 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 14 | 7 | 7 | 1088—1056 | 7 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 12 | 7 | 5 | 859—796 | 7 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 12 | 6 | 6 | 935—906 | 6 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 12 | 6 | 6 | 864—868 | 6 |
| „დინამო“ (თბილისი) | 12 | 4 | 8 | 879—951 | 4 |
| ასკ (კიევი) | 12 | 3 | 9 | 790—912 | 3 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 12 | 3 | 9 | 814—894 | 3 |
| „სტატიბა“ (ვილნიუსი) | 11 | 1 | 10 | 754—925 | 1 |

# წაიკითხეთ, ეს საინტერესოა!

გსურთ იცოდეთ რა გზით მიდიოდნენ გამარჯვებისკენ მსოფლიო ჩემპიონები ჭადრაკში, მოსკოველი ბორის სპასკი და თბილისელი ნონა გაფრინდაშვილი, რა უწყობდა ხელს გამარჯვებაში სპორტის ისტორიაში პირველ შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში, ორი ოლიმპიადის გმირს, მიხეილ ალექსანდრე მედვედს, როგორი იყო კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონის, ლენინგრადელი ანატოლი როშჩინის სპორტული ცხოვრება? გსურთ იცნობდეთ მაგიდის ჩოგბურთში ქვეყნის პირველი ჩემპიონის, ერევნელი არუთინ აკოფიანის ოცნებებს?

ამისთვის გირჩევთ წაიკითხოთ მწერალ ალექსანდრე კიკნაძის დოკუმენტური ნარკვევებით კრებული „ქარში წრთობილნი“, რომელიც სულ ახლახან გამოუშვა გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა“. ეს წიგნი გვიამბობს იმ ხალხის სპორტულ ცხოვრებაზე და ღირსებებზე, ვისაც სპორტი ეხმარებოდა მძიმე ცხოვრებისეული გამოცდების დროს, ხელს უწყობდა საკუთარი ძალის რწმენაში. ავტორი კარგად იცნობს თავის გმირებს — განთქმულ საბჭოთა სპორტსმენებს. მათზე თხრობის დროს იგი ეძებს პასუხს კითხვაზე: რა განასხვავებს და ამაღლებს ჩვენს დღეებში ცნობილ სპორტსმენს?

„ფიზკულტურა ი სპორტმა“ გამოსცა სხვა წიგნებიც:

**„მძლეოსნობა სკოლაში“.** ამ წიგნის ავტორები არიან სპორტის დამსახურებული ოსტატი პ. გოიხმანი და პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ო. ტროფიმოვი. მათ დაისახეს ამოცანა — დაინტერესებულ პირებს მისცენ რეკომენდაციები სასწავლო მეცადინეობის ორგანიზაციაში, დაწვრილებით გააშუქონ მძლეოსნობის სწავლების მეთოდიკა ბავშვების ასაკის გათვალისწინებით.

**„სამოტოციკლო ტურიზმი“.** ავტორები — ვ. ალექსეენკო და ფ. შმაევა. ესაა დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც აშუქებს მოტოციკლებით მოგზაურობისა და რთულ პირობებში მოძრაობის ძირითად საკითხებს. წიგნში მოცემულია საინტერესო მარშრუტების დახასიათება.

წიგნის თარო

**„მშვილდოსანი ათლეტის წინააღმდეგ“.** წიგნი, რომლის ავტორიცაა სპორტული ჟურნალისტი ა. გრიგორიევი, ეძღვნება გფრ-ის მზადებას მიუნხენის ოლიმპიური თამაშებისთვის.

**„თხილამურებით კილისთან ერთად“.** წიგნი გამოვიდა სერიით „მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები“. მისმა ავტორმა, ცნობილმა ფრანგმა სამთო-მოთხილამურემ ჟან-კლოდ კილიმ გრენობლის თეთრ ოლიმპიადაში ოქროს სამი მედალი მოიგო. კილი გვიამბობს თავის პირველ ნაბიჯებზე სპორტში, წარმატებებსა და წარუმატებლობაზე.

**„უზაროდ და უგანგაშოდ“.** გ. გილმორისა და პ. სნელის ეს წიგნიც „მსოფლიო სპორტის ვარსკვლავების“ სერიით გამოვიდა. იგი ეძღვნება პიტერ სნელს — ერთ-ერთ გამოჩენილ მორბენალს, მსოფლიო რეკორდსმენსა და ოლიმპიურ ჩემპიონს. ახალზელანდიელი ჟურნალისტი გილმორი ჩვენში კარგადაა ცნობილი წიგნებით — „რბენა ოსტატობის მწვერვალებისკენ“ და „რბენა სიცოცხლისთვის“.

(საქდესი).

საქდესი მოგვითხრობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აფინანსებს „სპორტლოტო“

დნეპროპეტროვსკის მანრიხოვის საცხოვრებელი მასივის რაიონში, მდინარე დნეპრის ნაპირზე, შენდება საწყალოსნო-სპორტული გამაჯანსაღებელი კომპლექსი. მშენებლები ააგებენ სანიჩბოსნო არხს, რომლის სიგრძეც 2,5 კმ იქნება, ხოლო სიგანე — 140 მ. მოეწყობა აგრეთვე სპეციალური დისტანცია წყალმოთხილამურეებისთვის. ამ კომპლექსისთვის სახსრებს „სპორტლოტოს“ ადგილობრივი სამმართველო იძლევა.

დნეპროპეტროვსკი.

## ჯილდოები გამრავლდება

ბელცის ვ. ი. ლენინის სახელობის ქარხნის სპორტსმენები მეცადინეობას შეუდგნენ ახალ ტირში, აგრეთვე, ტანვარჯიშისა და ძალოსნობის დარბაზებში. ქარხნის ფიზკულტურელებს თითქმის 100 თასი აქვთ მოპოვებული. შარშან კოლექტივში მომზადდა 1 სპორტის ოსტატი, 2 ოსტატობის კანდიდატი და 25 პირველთანრიგოსანი.

ბელცი.

## სტარტი ზეიმის დღეს

რსფსრ-ს მოჭადრაკეთა პირადი პირველობის ნახევარფინალური შეჯიბრებები დაიწყო ამ თამაშის მოყვარულთა ახალ კლუბში, რომელიც ნოვოსიბირსკის ცენტრში გაიხსნა. შეჯიბრებაში 16 ოსტატი მონაწილეობს.

ნოვოსიბირსკი.

## ყოველი მეორე — ფიზკულტურელი

პერვოურალსკის მილების ქარხანაში ტარდება ზამთრის სპარტაკიადა დევიზით: „ოლიმპიური წელი — არა მარტო ოლიმპიელთათვის“. ქარხნის ყოველი მეორე მუშა-მოსამსახურე სპორტს მისდევს. გასულ ხუთწლედში კოლექტივში მომზადდა 60 ოსტატი და სპორტის ოსტატობის კანდიდატი, ათასობით პირველთანრიგოსანი, 3000-ზე მეტი მშთ და „მზად ვარ სამშობლოს დასაცავად“ კომპლექსების ნიშნოსანი.

პერვოურალსკი.

## აუზიც ექნებათ

დაბა ლიპოვცის მეშახტეთა ახალ სპორტის სახლში ერთბაშად სამმა სპორტსკოლამ დაიწყო მუშაობა. მეშახტეთა შვილები მეცადინეობენ ჭიდაობის, ძალოსნობის, ხელბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და ჭადრაკის სექციებში.

გადაწყვეტილია აიგოს დახურული საცურაო აუზიც.

ვლადივოსტოკი.

## ნახევარსაუკუნოვანი სტაჟი

ომსკში საციგურაო სპორტის განვითარების ერთ-ერთი ფუძემდებელი წითელგვარდიელი დ. პოზდნიაკოვი იყო. მას შემდეგ იგი უკვე ნახევარი საუკუნეა მსაჯობს შეჯიბრებებში. ამას წინათ ომსკელებმა საკავშირო კატეგორიის არბიტრს დაბადების 75 წლისთავი მიულოცეს.

ომსკი.

## თვითონ აშენებენ

ორიოლის ხელსაწყოების ქარხნის ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს თავისი სპორტული ბაზის მშენებლობაში. ამ საწარმოს ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი საუკეთესოა ქალაქში. სპორტში ასობით მუშა-მოსამსახურე მეცადინეობს.

ორიოლი.

## ყველაზე დიდი საამქრო

მეტალურგები ახლა ძალიან იშვიათად ცივდებიან, შემცირდა საწარმოო ტრავმების რიცხვიც. როგორც ნოვოლიპეცკის მეტალურგიული ქარხნის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს მიაჩნია, ეს იმის შედეგია, რომ მუშა-მოსამსახურეები რეგულარულად არიან ჩაბმული ფიზკულტურულ მეცადინეობაში.

ახლახან დირექტორის ბრძანებით შეიქმნა „ჯანმრთელობის საამქრო“. იგი ყველაზე დიდია ქარხანაში და მოიცავს სტადიონს, სპორტის სასახლეს, აუზს, აფროსანთა კლუბს, საჩოგბურთო კორტებს, ტურისტულ ბაზებს, დასვენების პატარა ქალაქს ტყეში.

ლიპეცკი.

## 25-ე საწყალოსნო სტადიონი

რაიონულ ცენტრ როგაჩოვში (გომელის ოლქი) ახალი დახურული აუზი აიგო. სხვებთან ერთად აქ ვარჯიში დაიწყეს სარძეო-საკონსერვო კომბინატის მუშებმაც. როგაჩოვის საწყალოსნო სტადიონი ოცდამეხუთეა ამ ბოლო წლებში ბელორუსიაში აგებული ასეთივე ბაზებიდან.

როგაჩოვი.

## ხუთ წუთში მოპოვებული მხნეობა

უკრაინის საწარმოების თითქმის ორი მილიონი მუშა ყოველდღიურად უთმობს დროს შესვენებებზე ან ცვლაში სამუშაოდ გასვლის წინ საწარმოო ტანვარჯიშს. ეს აღინიშნა საწარმოო ტანვარჯიშის ხელმძღვანელ ინსტრუქტორ-მეთოდისტთა თათბირზე, რომელიც ხარკოვში ჩატარდა.

„ავანგარდის“ ცენტრალურმა საბჭომ შემთხვევით როდი მოიწვია თათბირი ქვეყნის ამ მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრში. აქ საწარმოო ტანვარჯიშის დიდი გამოცდილება აქვთ. ხარკოვის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის სახელობის ლენინის ორდენოსან ელექტრომექანიკურ ქარხანაში ყოველწლიურად ტარდება საუკეთესოდ ორგანიზებული ფიზკულტურული პაუზისა და საწარმოო ტანვარჯიშის საინტერესო პროგრამების დათვალიერება-კონკურსები. გამარჯვებულ საამქროებსა და განყოფილებებს ფულადი პრემიები ეძლევათ.

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ის, ვინც რეგულარულად ასრულებს ფიზიკურ ვარჯიშს, სამუშაოზე გაცილებით ნაკლებად იღლება და იშვიათად არის ავად. მათი შრომისნაყოფიერება 3 პროცენტით მაღალია.

ხარკოვის ბეწვეულის გაერთიანებაში ინსტრუქტორ-მეთოდისტები საწარმოო ტანვარჯიშს ხელმძღვანელობენ... ტელევიზიით. ცისფერი ეკრანები საამქროებში დგას. მეცადინეობები ცოცხლად, ენერგიულად და ზუსტად ტარდება.

თათბირზე მოეწყო მეთოდისტების კონკურსი. შეარჩიეს ვარჯიშის უფრო ეფექტური კომპლექსები სხვადასხვა პროფესიის ხალხისთვის. ხარკოვის ორი ორდენოსანი სატრაქტორო ქარხნის წარმომადგენელმა ე. მალცევამ დამსწრეთ უჩვენა უმუსიკოდ ვარჯიშის საუკეთესო კომპლექსი, რომელიც გათვალისწინებულია დაზგებთან მომუშავეებისთვის. ეს ვარჯიში სულ ოთხ წუთში სრულდება, მაგრამ მხნეობის მოსაკრებად სრულიად საკმარისია.

მაღალი შეფასება მიიღო ხერსონის საბავშვო ფაბრიკის წარმომადგენლის ი. ვორონის ვარჯიშების კომპლექსმა. ტანვარჯიშს ამ ფაბრიკაში უკვე 15 წელია მისდევენ.

ეს თათბირი ინსტრუქტორ-მეთოდისტებისთვის გამოცდილების გაზიარების საუკეთესო სკოლა იყო. ასეთი მასშტაბის თათბირი საწარმოო ტანვარჯიშის მუშაკებისთვის სსრ კავშირში პირველად ჩატარდა.

ხარკოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი ათეულის უპირველესი წევრი

ოლიმპიური [illegible] კანდიდატები

## შოთა ლომიძე

დაიბადა 1936 წელს იმერეთის სოფელ საყულიაში.

**სპორტული ტიტულები:** მოლდავეთის ორგზის ჩემპიონი, უკრაინის ჩემპიონატის პრიზიორი, საქართველოს ჩემპიონატში ხუთგზის გამარჯვებული, „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ექვსგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის ექვსგზის ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი ქვემძიმე წონაში, შემდეგ მძიმეში, იაპონიის ლია ჩემპიონატში გამარჯვებული, ირანის შაჰის თასის ორგზის კავალერი, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი... ეს, რა თქმა უნდა, არასრული ნუსხა გახლავთ.

**მწვრთნელი:** სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვასილ ილურიძე.

**განათლება:** დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტი.

ოდითგანვე ასე ყოფილა: განთქმული ფალავნის გამოჩენა სოფელ-ქვეყანაში დიდი მნიშვნელობის მოვლენად იქცეოდა. უთვალავი ხალხი აწყდებოდა ლეგენდარული მოჭიდავეების კულა გლდანელის, სანდრო კანდელაკის, ნესტორ ქსებუას და სხვათა ასპარეზობას. უკვე მათი გამოსვლა საფალავნო სარბიელზე თვით უმნიშვნელო შეჯიბრებასაც კი ჭეშმარიტ სპორტულ ზეიმად აქცევდა. ასე ყოფილა და ასეა ახლაც.

მსოფლიოს ნებისმიერ საერთაშორისო ტურნირს ამშვენებდნენ არსენ მეკოკიშვილი, გივი კარტოზია, ვახტანგ ბალავაძე, დავით ციმაკურიძე, გურამ საღარაძე... ერთი გენახათ, როგორ უხარიათ მსოფლიოს ყველა „საჭიდაო ქვეყანაში“ რომან რურუას, ზარბეგ ბერიაშვილის, ლევან თედიაშვილის სტუმრობა. იმიტომ, რომ მათ თავიანთი ჭიდაობით ბევრი რამ შეუძლიათ თქვან, იმიტომ, რომ მათი ჭიდაობა ქართული ვაზივით ძველია და მშვენიერი, ქართული ცეკვებივით ცეცხლოვანი, ქართული სიმღერასავით ვაჟკაცური და ომახიანი.

დიახ, ძალიან ბევრს დაკარგავდა ჭიდაობა საერთოდ, რომ არ ყოფილიყო სპორტულ სამყაროში ლომის გვარის შთამომავალი, საოცარი და შეუდრეკელი მოჭიდავე შოთა ლომიძე. მან თითქოს შეისისხლხორცა ყოველივე საუკეთესო, რაც ჩვენს ჭიდაობას აქვს. მან კარგად იცის ეს და ამიტომაც უფრთხილდება არა იმდენად ბეჭდაუდებელი ფალავნის რეპუტაციას, არამედ ქართული საჭიდაო სკოლის ძველთაძველ სახელოვან ტრადიციებს, რომელთა გაგრძელება თვით ბედმა არგუნა. ის არის ჩვენი ჭიდაობის საუკეთესო დელეგატი საერთაშორისო სარბიელზე — ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, ოლიმპიურ თამაშებში, სხვადასხვა ტურნირში. მან უკვე გაიარა გრძელი, დამქანცველი გზა და მაინც ჭაბუკივით გამოიყურება — კვლავინდებურად ხალისიანი, ოპტიმიზმით აღსავსე, ძლიერი და შეუპოვარი. თავისი მძლავრი მკლავებით ლომიძე მიუნხენის ოლიმპიადის საჭიდაო ხალიჩისკენ იკვლევს გზას. ეს მისთვის მესამე ოლიმპიადა იქნება.

მოჭიდავის ბედი... არის ამ სიტყვებში რაღაც საოცრად საგულისხმო და საცნაური მათთვის, ვისაც ჭიდაობის უმაღლესი მწვერვალების დაპყრობა უცდია. ეს არის ხშირად ნარეკლიანი გზა, უსიერი ტყე, ჭიდილი მეტოქეებთან და საკუთარ თავთან. იმიტომ, რომ მოჭიდავე ბევრია ამ ქვეყანაზე, ჩემპიონი კი მხოლოდ ერთი. ბევრი იღლება ამ გზაზე, სულიერად ტყდება (რამდენჯერ გაგვიგონია ბანალური ფრაზა: კრიტიკულ ასაკს მიაღწია და იძულებული გახდა სპორტისთვის თავი დაენებებინაო). ვიყოთ გულახდილი: თვით ძლიერთა შორის ძლიერებსაც კი უჭირთ „მონომახის ქუდის“ ტარება დიდი ხნით. ოთხ-ხუთ წელიწადს ატარებენ დიდების ტვირთს და მერე ილაჯგაცლილნი სპორტს ტოვებენ, მიდიან საჭიდაო ხალიჩიდან, ტოვებენ ახალგაზრდა, პატივმოყვარე ფალავნების კონკურენციას, იდრიკებიან შემთხვევითი წარუმატებლობების სიმძიმის ქვეშ. მხოლოდ ერთეულნი მათ შორის ეწევიან სპორტულ ჭაპანს, ეწევიან ვაჟკაცურად, ღირსების გრძნობით, წარბშეუხრელად. ასეთი გახლავთ თავისუფალი ჭიდაობის უბადლო ოსტატი შოთა ლომიძე.

ის იმარჯვებს ლაღად, იოლად, ჩემპიონის სტილში. მისი გამარჯვებები იმდენად ლოგიკური და ბუნებრივია, რომ მათ ჩვეულებრივად აღვიქვამთ. მაგრამ იქნებ ბევრმა არ იცოდეს, თუ რა დაბრკოლებები უძღვის წინ ხშირად ამ ტრიუმფს. შორს ნუ წავალთ, ავიღოთ თუნდაც სოფიის შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატი. სოფიიდან შოთა ოქროს მედლით დაგვიბრუნდა. რა არის ამაში საკვირველი? ბევრი იტყვის; სხვანაირად ვერც წარმოვიდგენიაო. ისინი მართალიც იქნებიან და... არც იქნებიან. საქმე ისაა, რომ ალბათ არც ერთ მოჭიდავეს არ გაძნელებია შეჯიბრებაში გამოსვლის უფლების მოპოვება ისე, როგორც ამჯერად შოთას.

1969 წელს ლომიძე იმარჯვებს მსოფლიო ჩემპიონატში. სპორტული სამყარო ამ დროისთვის მას სამართლიანად მიიჩნევს პლანეტის ერთ-ერთ საუკეთესო ფალავნად. შ. ლომიძის, როგორც ქვემძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის რეპუტაცია არავითარ ეჭვს არ იწვევს. მისთვის მომავალ წელსაც თითქმის განაღდებულია უძლიერესის გვირგვინი. მაგრამ, გახსოვთ, ჩვენ ვლაპარაკობდით მოჭიდავის ბედზე. ხშირად სპორტსმენის კარიერა მოულოდნელად წყდება, თუმცა მოტივი უნდა ვეძებოთ არა სპორტის სფეროში, არამედ პირად ცხოვრებაში. 1970 წელი უიღბლო გამოდგა ოჯახისთვის — შოთას ერთ თვეში გარდაეცვალა მამა და გამზრდელი პაპა. შემდეგ ამას მძიმე ფიზიკური ტრავმაც დაერთო. ამ დროს შოთა უკვე 34 წლისა იყო. თითქოს სამუდამოდ დაიხშო მისი სპორტული გზა, მაგრამ ჩვენ საუბარი გვაქვს არა რომელიმე მოჭიდავეზე, არამედ შოთა ლომიძეზე. რაოდენ დიდი შემართება, რკინისებური ნებისყოფა და უდრეკი სული უნდა იყოს ადამიანში, ასეთ განსაცდელს რომ გაუძლოს. მით უმეტეს, თუკი კვლავ მოვიშველიებთ ბანალურ ფრაზას, სპორტსმენმა ამ დროისთვის უკვე კრიტიკულ ასაკს გადააბიჯა.

რა ხდება ამ დროს მსოფლიოს საჭიდაო სამყაროში? შოთას მაგივრად მსოფლიო ჩემპიონატში გამოდის ნიჭიერი უკრაინელი მოჭიდავე ვლადიმერ გულიუტკინი. იგი იმარჯვებს და ლომიძის ტიტულს მექანიკურად ემატება — „ექს“. ალბათ, სამუდამოდო, — ხელი ჩაიქნიეს სკეპტიკოსებმა და, რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, თვით ნაკრების მწვრთნელებმაც კი.

ჩვენ არ ვიცით, რას ფიქრობდა ხალხთა სპარტაკიადის წინ შ. ლომიძე, მაგრამ იგი კვლავ ღირსეულად წარდგა ამ უდიდეს შეჯიბრებაში... სპარტაკიადის წინა დღეებში საქართველოს მოჭიდავეთა ნაკრები ბორჯომში ვარჯიშობდა. სავარჯიშო ბანაკში ლაპარაკობდნენ შოთას საარაკო მონდომებასა და შრომისმოყვარეობაზე. პარკში სეირნობის დროს შევხვდი შოთას. იგი ჩაფიქრებული, ნაღვლიანიც კი ჩანდა. ტრადიციულ შეკითხვაზე—როგორ არის საქმე-მეთქი, მან მოკლედ მომიჭრა: ვერასგზით ვერ ვიკლებ წონას, ქვემძიმეში მინდა გამოვიდე, მაგრამ, თუ ასე გაგრძელდა, ალბათ მედვედთან მექნება საქმე...

ეს გულახდილი ნათქვამი იყო. სპარტაკიადის დღეებში მოუთმენლად ველოდი მედვედისა და ლომიძის პრინციპულ შეხვედრას. თან გული მეთანადგრებოდა: რომელიმე მათგანს სპარტაკიადის ოქროს მედალი უნდა დაეკარგა. შოთას კი ყველაფერთან ერთად ქვემძიმე წონაში „შინაურული“ საქმეც ჰქონდა მოსაგვარებელი: მსოფლიოს ექს-ჩემპიონს მსოფლიო ჩემპიონ გულიუტკინისთვის თავისი ძალა უნდა ეჩვენებინა. შოთამ, სპარტაკიადამდე მაინც მოახერხა წონის დაკლება და ქვემძიმე წონაში იასპარეზა. როცა იგი ტურნირის ფინალში გულიუტკინს შეხვდა, ქართველი ათლეტის გამარჯვებაში ბევრი როდი იყო დარწმუნებული. შოთამ საუცხოოდ იჭიდავა და ყველანაირი ეჭვი გაუფანტა სკეპტიკოსებს (სხვათა შორის, თუ შეიძლება ამას „სხვათა შორის“ ვუწოდოთ, სპარტაკიადაში ლომიძემ გულიუტკინს ორჯერ მოუგო). თუმცა, გაუფანტა კი?.. კარგი იქნებოდა, ასე რომ ყოფილიყო. ჩვენთვის, ჟურნალისტებისა და გულშემატკივრებისთვის, ყველაფერი ნათელი გახლდათ. ერთი წლის იძულებითი პაუზის შემდეგ შოთამ საოცარი შრომისმოყვარეობით კვლავ დაამტკიცა, რომ ტოლი არ ჰყავდა. იგი დამსახურებულად გახდა სპარტაკიადის ჩემპიონი.

ვინ უნდა წავიდეს სოფიის მსოფლიო ჩემპიონატზე, ლომიძე თუ... გულიუტკინი, რომელიც ათასობით მაყურებლის თვალწინ დაჯაბნა შოთამ? რა თქმა უნდა, ლომიძეო, იტყვით თქვენ. მაგრამ არც მაშინ იზიარებდა ყველა ამ აზრს. „ყველა“ — ესენი იყვნენ მწვრთნელები და სპეციალისტები. აი, მათი მოტივები: ლომიძემ კრიტიკულ ასაკს მიაღწია, მან მთელი ერთი წელი დაკარგა, ფალავნის ტექნიკური არსენალი საგრძნობლად გაღარიბდა და ერთფეროვანი გახდა. ამიტომ უმჯობესია ლომიძემ თავისი ადგილი ნაკრებში ამჯერად უფრო ახალგაზრდა, პერსპექტიულ მეტოქეს დაუთმოს.

ღმერთმა ყველას მისცეს ისეთი „ერთფეროვნება“, როგორითაც შოთა ამ ბოლო წლებში იმარჯვებს სსრ კავშირისა და მსოფლიოს უძლიერეს მოჭიდავეებთან. მას სულითა და გულით უნდოდა დაემტკიცებინა სხვებისთვისაც და, პირველ ყოვლისა, საკუთარი თავისთვისაც, რომ კიდევ შეეძლო ეჭიდავა, ეჭიდავა ნამუსიანად, ვაჟკაცურად, ძლიერად, ისე, როგორც შეეფერება ლომის გვარის შთამომავალს. დიდი ჯაფა და განსაცდელი დაადგა შოთას, ვიდრე სპარტაკიადის ჩემპიონი მოიპოვებდა კანონიერ უფლებას ძალა მოესინჯა სოფიის ჩემპიონატში. ჯერ კიდევ მსოფლიო პირველობამდე რამდენიმე დღით ადრე ნაკრებში მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი სათუო იყო. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, როგორც იტყვიან, სამართალმა პურიჭამა და შოთა კვლავ გამოვიდა მსოფლიო სარბიელზე. საოცრად ერთფეროვანი იყო მისი გამარჯვებები, ერთფეროვანი იმ გაგებით, რომ შოთას „რკინის მარწუხებს“ ვერც ერთმა ფალავანმა ვერ დააღწია თავი. შეხვედრების უმრავლესობა მან წმინდად მოიგო. ჩვენ შეგნებულად ავუარეთ გვერდი შ. ლომიძის გამარჯვებათა ჩამოთვლას სოფიის ჩემპიონატში. მაგრამ სანიმუშოდ მაინც გვინდა მოვიყვანოთ ერთი ფრიად დამახასიათებელი ეპიზოდი. შევახსენებთ, რას წერდა იმ დღეებში სპორტული პრესა: „...ყველაზე ეფექტური გამარჯვება თბილისელმა შოთა ლომიძემ მოიპოვა. მან აიტაცა 100-კილოგრამიანი რუმინელი პანაიდი და მერე ფრთხილად დააწვინა იგი ბეჭებზე. ლამაზი გამარჯვება 1 წუთსა და 34 წამში! შემდეგ ლომიძემ, რომელიც მომთხოვნი მაყურებლის დიდი სიყვარულით სარგებლობს, 2 წუთსა და 16 წამში ბეჭებზე დასცა მორიგი მეტოქე — ა. ხეხერი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან“.

სოფიის მსოფლიო ჩემპიონატი... სწორედ ამ ასპარეზობაში შოთას ტრიუმფის შემდეგ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტებს სთხოვეს დაესახელებინათ ჩვენი რესპუბლიკის ათი საუკეთესო სპორტსმენი. გამოითქვა სხვადასხვა შეხედულება. პირადად მე ამ ათეულის სათავეში ლომიძე დავასახელე. ალბათ, მიმიხვდით რატომაც. სხვათა შორის, ეს აზრი შემექმნა ჯერ კიდევ სპარტაკიადამდე, სოფიის ჩემპიონატამდე, ბორჯომის პარკში ჩვენი შეხვედრის შემდეგ.

მე მას დავასახელებდი საუკეთესო ათეულის უპირველეს წევრად მაშინაც, როცა 1969 წელს ბულგარეთში გამართულ ევროპის პირველობაში ოქროს მედალი მოიპოვა. მერე ისეთი რა მოხდაო, გაიკვირვებს ზოგიერთი, ევროპის პირველობა რა ბედენაა შოთასთანა ფალავნისთვისო. ჩვენც მანდა ვართ, მაგრამ გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც. იმ წელს მედვედი ჩვეულ ფორმაში ვერ იყო. შოთამ „დავალება“ მიიღო: წონაში უნდა მოიმატო, რათა როგორმე უმედვედობა არ დაეტყოს გუნდსო. შედეგი: ოქროს მედალი. ორი პრიზი: მძიმე წონის მოჭიდავეებს შორის ყველაზე ტანმორჩილი, მსუბუქი და ძლიერი ფალავნისთვის განკუთვნილი, და კიდევ საუკეთესო ტექნიკისთვის (ძალიან არა ჰგავს ზოგ-ზოგი სპეციალისტის მოსაზრებას ერთფეროვანი ჭიდაობის თაობაზე?!).

ამ სპორტსმენის ბიოგრაფია უნიკალურია და არავისას ჰგავს. შოთამ მხოლოდ ერთხელ „უღალატა“ ჭიდაობას, უღალატა უნებურად და მერე დიდხანს ნანობდა ამას. ეს მოხდა დიდი ხნის წინათ. მაშინ შოთა სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიოდა ზაპოროჟიეში. ახალგაზრდა ჯარისკაცებს შორის ბევრი იყო სპორტსმენი. მათ თავი მოუყარეს და გამოკითხვა დაუწყეს: რომელ სახეობას მისდევდნენ, რომელი თანრიგი ჰქონდათ...

— ვიცოდი, ჯარისკაცებს შორის ბევრი ძლიერი მოჭიდავე იყო, ზოგიერთი სპორტის ოსტატიც კი გახლდათ. ვიფიქრე, რაღა ამ ოსტატებში დავიჩაგრო, მოდი, იქნებ ჩემსავით ახალბედა ძალოსნებში გამიღიმოს ბედმა-მეთქი. ასე მოვხვდი ძალოსნობაში, რომლის ინჩი-ბინჩიც არ გამეგებოდა. პირველივე ვარჯიშზე ჩემი უწყინარი სიცრუე გამომჟღავნდა: ჩემო ძმაო, მითხრა მწვრთნელმა, შენ ისეთივე ძალოსანი ხარ, როგორიც მე მოჭიდავე. პირველი თანრიგისა რა მოგახსენო, ჩანს, არასდროს გქონია, მაგრამ ღონით კი ბევრი ვერ გაჯობებს. აბა, დღეიდან დავიწყოთ ნამდვილი ძალოსნობის შესწავლაო. არ ვიცი, როგორი ძალოსანი გამოვიდოდი, ერთ შემთხვევას რომ არ შეეცვალა ჩემი გეგმები. რამდენიმე დღის შემდეგ გულმა საჭიდაო დარბაზისკენ გამიწია, იქვე, ძალოსნობის სექციის გვერდით იყო. ბედად ერთი მოჭიდავე უქმად იდგა და ვთხოვე დამეჭიდე-მეთქი. წავაქციე. ჩემს მეტოქეს ამხანაგი „გამოესარჩლა“. ისიც წავაქციე. მერე მესამე მოვიდა... თურმე ჩვენს ღლაბუცს თვალ-ყურს ადევნებდა მაიორი პლესოვსკი, როგორც შემდეგ გამოირკვა, ჭიდაობის ტრფიალი, ღვთისნიერი კაცი. მან თავისთან მიმიხმო და ღიმილით დამემუქრა: ვიცი რა შვილიცა ხარ, კოჭებში გეტყობაო. ძალოსნობისთვის იმ დღესვე დამანებებინა თავი და ჭიდაობის სექციაში ჩამრიცხა.

ამ დღიდან შ. ლომიძეს ერთი წუთითაც აღარ უღალატია ჭიდაობისთვის. მისთვის ჭიდაობა უფრო ბევრს ნიშნავდა, ვიდრე სპორტში მოგება-წაგება. საყულიაში ყველა ჭიდაობდა. ვერც შოთა ასცდა ამ გზას. როცა უკვე საფალავნოდ გამზადებული ბიჭი იყო, ჯარის ასაკმაც მოუწია. ზაპოროჟიეში თავი რომ გამოიჩინა, მერე უკრაინის ჩემპიონატის მეორე პრიზიორიც გახდა, მოლდავეთის უძლიერესი ფალავნის სახელიც დაისაკუთრა.

სწორედ მოლდავეთში ყოფნის დროს იცავდა იგი ამ რესპუბლიკის სპორტულ სახელს სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაში. ჭაბუკმა თავი გამოიჩინა, ძლია იმ დროს ცნობილ მოჭიდავეებს ალბულს, ნიკარაძეს, გობეჯიშვილს და სხვ. ჯილდოდ სპარტაკიადის ბრინჯაოს მედალი ხვდა. ეს იყო სერიოზული განაცხადი უფრო მაღალი სპორტული ტიტულისთვის.

იმავე წელს შოთა სამშობლოში დაბრუნდა. ამიერიდან მისი ოსტატობა იწრთობოდა ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელის ვ. ილურიძის ხელმძღვანელობით. ორივეს, როგორც იტყვიან, ბედმა გაუღიმა. უკეთეს აღმზრდელსა და მოწაფეს იშვიათად თუ შეხვდება კაცი.

— ერთხანს მოწყვეტილი ვიყავი იმ განუმეორებელ, თავისებურ ატმოსფეროს, რომელსაც ჭიდაობის ქართულ სკოლას ეძახიან. ამან, რა თქმა უნდა, ერთგვარი კვალი დააჩნია ჩემი ჭიდაობის მანერას, კერძოდ, ტექნიკურ მომზადებას. ხელმეორედ უნდა გამევლო ჩვენი ეროვნული ჭიდაობის ქურაში. ჩემს მწვრთნელზე მარტო ერთს ვიტყვი: დაე, ყველა მასწავლებელი ასე იყოს შემკული საქმის ცოდნით, გულისხმიერებით, კაცური კაცობით. თუ ამჟამად რაიმეს წარმოვადგენ, როგორც მოჭიდავე, ამას თითქმის მთლიანად ამ კეთილშობილ ადამიანს ვუმადლი...

დიახ, სწორედ ვ. ილურიძისგან ისწავლა შოთამ ის „ერთფეროვანი“ ტექნიკა და ტაქტიკა, რომელმაც მას დაუვიწყარი გამარჯვებები მოუტანა მსოფლიოს ყველაზე დიდ შეჯიბრებებში. სწორედ ამ ჩინებულმა აღმზრდელმა მიუჩინა მას ადგილი სამყაროს საუკეთესო ფალავანთა შორის. თითქმის ათ წელიწადს ელოდნენ მოწაფე და მასწავლებელი მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალს და აკი ბედნიერად აუხდათ ნაოცნებარი. მანამდე? მანამდე იყო გამარჯვებები საკავშირო სარბიელზე, საერთაშორისო ტურნირებში, ევროპის ჩემპიონატებში... მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი 1969 წლამდე სხვებისთვის ელავდა, შოთასთვის კი არა. იყო „მხოლოდ“ რამდენიმე ვერცხლი და ბრინჯაო. ბევრ სპორტსმენს მობეზრდებოდა, ბევრი დაიღლებოდა, ბევრი მოიდრიკებოდა ოქროს გამუდმებულ ძიებაში, ბევრი მწვრთნელიც ჩაიქნევდა ხელს. მაგრამ ისინი მუდამ ერთად იყვნენ — მწვრთნელი და მოწაფე. ისინი ერთად იყვნენ, როცა ოქრო სხვას „მიჰქონდა“, როცა შოთა მძიმე ტრავმებს თითქმის სამუდამოდ გამოჰყავდა მწყობრიდან, როცა კულუარებში წყდებოდა ნაკრებში მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი.

აი, რატომ იყო ათმაგად სასიხარულო მათთვის მსოფლიო ჩემპიონის ორი ოქროს მედალი, მოპოვებული მძიმე, ტიტანური შრომითა და მოთმინებით.

არ ვიცი, როგორ გამოვა შოთა ლომიძე მიუნხენის ოლიმპიადაში, თუმცა აქა-იქ დღესაც მოჰკრავთ ყურს სკეპტიკოსების ლაპარაკს ნაკრებში მისი შეყვანის თაობაზე, მაგრამ ერთი კი დანამდვილებით ვიცი: იგი წლის ბოლოს ჩემთვის მაინც იქნება სპორტსმენთა საუკეთესო ათეულის უპირველესი წევრი. ალბათ, მიმიხვდებით რატომაც.

ა. გოგელია.



სურათზე: შ. ლომიძე (ზემოდან) თავის ამპლუაში. მ. ზარგარიანის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1971 წლის საუკეთესო ფეხბურთელები

ავსტრია — კურტ იარა („ტიროლი“, ინსბრუკი).
ბულგარეთი — დიმიტარ პენევი (ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე“, სოფია)
ბელგია — ერვინ ვან დენ დეელი („ბრიუჟი“)
ბრაზილია — რამოს დელგადო („სანტოსი“, სან-პაულუ)
გდრ — პეტერ დუკე („კარლ ცაისი“, იენა)
გფრ — ჰანს-ჰუბერტ ფოჰტსი („ბორუსია“, მენჰენგლადბახი)
დანია — ბირგერ პეტერსენი („ჰვიდოვრე“, კოპენჰაგენი)
ინგლისი — ფრენკ მაკლინტოკი („არსენალი“, ლონდონი)
იტალია — ფრანკო კაუზიო („იუვენტუსი“, ტურინი)
იუგოსლავია — დრაგოსლავ სტეპანოვიჩი (ოფკ, ბელგრადი)
ლუქსემბურგი — ლუის პილო („სტანდარდი“, ლიეჟი)*
ნორვეგია — იან კრისტიანსენი („როსენბორგი“, ტრონჰეიმი)
პოლონეთი — ზიგფრიდ შოლტისიკი („გურნიკი“, ზაბჟე)
რუმინეთი — ნიკოლაე დობრინი („არჯესი“, პიტეშტი)
საფრანგეთი — ჟორჟ კარნიუ („ოლიმპიკი“, მარსელი)
სსრ კავშირი — ევგენი რუდაკოვი („დინამო“, კიევი)
ფინეთი — არტო ტოლსა („ბეერსკოტი“, ანტვერპენი)*
შვეიცარია — კუდი მიულერი („იანგ ბოისი“, ბერნი)
შვეცია — რონი ჰელსტრომი („ჰამარბი“, სტოკჰოლმი)
უნგრეთი — შანდორ ზამბო („უიპეშტ დოჟა“, ბუდაპეშტი)
შოტლანდია — მარტინ ბექენი („აბერდინი“)
ჰოლანდია — იოჰან კრუიფი („აიაქსი“, ამსტერდამი)
ჩეხოსლოვაკია — კარელ დობიაში („სპარტაკი“, ტრნავა)

შეგახსენებთ, რომ ევროპის 1971 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულია იოჰან კრუიფი (ჰოლანდია), ხოლო აფრიკისა — იბრაჰიმ სანდეი („კოტოკო“, აკრა, განა).

*) ლუქსემბურგელი ლ. პილო და ფინელი ა. ტოლსა ბელგიის ჩემპიონატში თამაშობენ, მაგრამ ლუქსემბურგისა და ფინეთის ჟურნალისტებმა და სპეციალისტებმა ისინი თავიანთი ქვეყნების საუკეთესო ფეხბურთელებად დაასახელეს.

• • •

სურათზე: ი. კრუიფი (მარჯვნივ) თამაშის დროს.



## ჩემპიონატები, გათამაშებები, ლიდერები

### ინგლისი

„ნიუკასლ იუნაიტედმა“ სტუმრად აჯობა „მანჩესტერ იუნაიტედს“ — 2:0. ლონდონში ადგილობრივმა „არსენალმა“ ჩ. ჯორჯის 2 „მშრალი“ გოლის წყალობით 2 ქულა აართვა მეტად საშიშ მეტოქეს „დერბი ქაუნთის“. ჩემპიონატის ლიდერმა „მანჩესტერ-სიტიმ“ სტუმრად ფრედ ითამაშა „შეფილდ იუნაიტედთან“ — 3:3. ამ შეხვედრაში მანჩესტერელმა ფ. ლიმ გაიტანა მე-13 პენალტი ამ სეზონში.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „მანჩესტერ-სიტი“ | 28 | 58:31 | 39 |
| „ლიდს იუნაიტედი“ | 28 | 39:21 | 37 |
| „დერბი ქაუნთი“ | 28 | 46:28 | 36 |
| „მანჩესტერ იუნაიტედი“ | 28 | 51:38 | 35 |
| „არსენალი“ | 28 | 43:27 | 35 |

### შოტლანდია

ედინბურგში ადგილობრივმა „ჰიბერნიენმა“ ფრედ ითამაშა „აბერდინთან“ — 2:2. აბერდინელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჯ. ჰარპერმა შეძლო ორივე გოლის გატანა და გუნდი წაგებას გადაარჩინა.

„გლაზგო რეინჯერსმა“ შინ აჯობა „დანდი იუნაიტედს“ — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 23 | 72:18 | 42 |
| „აბერდინი“ | 24 | 66:19 | 39 |
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 24 | 54:22 | 35 |

### პორტუგალია

ქვეყნის ჩემპიონმა და ახლანდელმა ლიდერმა — ლისაბონის „ბენფიკამ“ შინ მოუგო ავეიროს „ბეირა-მარს“ — 3:1.

სეტუბალის „ვიტორიამ“ შინ დაამარცხა ტომარის „უნიაუ“ — 5:0. ორ-ორი გოლი გაიტანეს ტორესმა და ჟოაომ.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა“ | 19 | 51:9 | 35 |
| „ვიტორია“ | 19 | 43:12 | 30 |
| „სპორტინგი“ | 19 | 37:16 | 27 |

### ბელგია

გათამაშების ლიდერმა „ბრიუჟმა“ შინ სძლია „მეხელენს“ — 1:0. ჩემპიონმა — ლიეჟის „სტანდარდმა“ ზემელინგის, ტაკაჩისა და ვან მურის გოლების წყალობით 2 ქულა აიღო „სენ-ტრონთან“ შეხვედრაში — 3:0.

„ანტვერპენმა“ აჯობა ბრიუსელის „ანდერლეჰტს“ — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბრიუჟი“ | 20 | 46:14 | 34 |
| „სტანდარდი“ | 20 | 37:12 | 30 |
| „ანდერლეჰტი“ | 20 | 41:20 | 27 |

### საფრანგეთი

ჩემპიონატის XXIV ტური. პარიზში ადგილობრივი „რედ სტარი“ შეხვდა ქვეყნის ჩემპიონსა და გათამაშების ლიდერს — მარსელის „ოლიმპიკს“. ჩემპიონმა გაიმარჯვა — 4:2. ნიმის „ოლიმპიკმა“ სძლია „სოშოს“ — 2:1, ხოლო ბორდოს „ჟირონდენმა“ ასეთივე ანგარიშით — „სტად რენს“.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ოლიმპიკი“ (მარსელი) | 24 | 52:24 | 34 |
| „ოლიმპიკი“ (ნიმი) | 24 | 49:21 | 32 |
| „სტად რენი“ | 24 | 36:24 | 29 |

### გფრ

თასის გათამაშების მერვედფინალური მატჩების შედეგები ასეთია: „ვერდერი“ — „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ 4:0, „ფორტუნა“ — „შალკე 04“ 1:1, „აინტრახტი“ (ბრაუნშვაიგი) — „ბაიერნი“ 0:0, „ჰანოვერ 96“ — „ბოხუმი“ 0:0, „ბორუსია“ (მენჰენგლადბახი) — „აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი) 4:2.

### იტალია

ჩემპიონატის XVIII ტურში 8 თამაშიდან 5 ფრედ დამთავრდა. ლიდერმა — ტურინის „იუვენტუსმა“ ბერგამოში ადგილობრივ „ატლანტასთან“ ქულა დაკარგა — 0:0. „მილანმა“ შინ ვერ მოუგო XII ადგილზე მყოფ ვიჩენცის „ლანეროსის“ — 1:1, ხოლო I ლიგის დებიუტანტმა „კატანძარომ“ კინაღამ სძლია ლ. რივას გუნდს „კალიარის“ — 2:2.

ტურის სენსაცია იყო მილანის „ინტერნაციონალეს“ წაგება ვერონაში. „ვერონამ“ ჩემპიონის კარში 2 „მშრალი“ ბურთი გაიტანა.

| | | | |
|---|---|---|---|
| „იუვენტუსი“ | 18 | 32:15 | 27 |
| „მილანი“ | 18 | 23:11 | 25 |
| „კალიარი“ | 18 | 22:11 | 25 |
| „ინტერნაციონალე“ | 18 | 33:15 | 23 |

### ესპანეთი

ვალენსიაში ქვეყნის ჩემპიონმა — ადგილობრივმა „ვალენსიამ“ აჯობა მადრიდის „ატლეტიკოს“ — 1:0. გოლი გაიტანა ვალდომ.

თასის მფლობელმა „ბარსელონამ“ შინ მოუგო ხიხონის „რეალს“ — 1:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ (მადრიდი) | 20 | 28:13 | 29 |
| „ვალენსია“ | 21 | 31:18 | 27 |
| „ბარსელონა“ | 21 | 25:15 | 26 |

### ჰოლანდია

თასის გათამაშების მერვედფინალში როტერდამის გუნდებმა „ფეიენოორდმა“ და „სპარტამ“ ფრედ ითამაშეს — 2:2.

(საქ. ინფ.).

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მოპოვების შემდეგ ამსტერდამის „აიაქსის“ ფეხბურთელები ჰოლანდიის დედოფალმა ჯულიანამ თავის სასახლეში მიიწვია. ფეხბურთელები თასით ეწვივნენ დედოფალს.

სურათზე თქვენ ხედავთ პატარა პრინც კარლოსს, რომელიც თასში ჩასვა დედამისმა — პრინცესა ირენმა. უკანა პლანზე „აიაქსის“ ფეხბურთელები არიან.

ანპ-ის (ამსტერდამი) ფოტო.



## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ

ვენაში დაბრუნდა ბ. ბინდერი, 60 წლის პოპულარული ავსტრიელი ვეტერანი ფეხბურთელი. იგი კარგა ხანს უცხოეთის სხვადასხვა ქვეყანაში მუშაობდა მწვრთნელად, 49 მატჩი აქვს ჩატარებული ეროვნულ ნაკრებში და თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე ათასამდე გოლი გაუტანია.

• •

### ჰიდეგკუტი პოლონეთში მუშაობს

ცამოჩენილმა უნგრელმა სპეციალისტმა ნ. ჰიდეგკუტიმ, რომელიც აქამდე მწვრთნელად მუშაობდა თავის ქვეყანასა და იტალიაში („ფიორენტინა“, „მანტოვა“), ახლა პოლონეთში დაიწყო მოღვაწეობა: იგი სათავეში ჩაუდგა პოლონეთის I ლიგის კლუბ „სტალს“.

• •

### ჩილის ფედერაციის გადაწყვეტილება

1 იანვრიდან ძალაში შევიდა ჩილის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება ამ ქვეყნის ფეხბურთელთა უცხოეთში წასვლის აკრძალვის თაობაზე. როგორც ჩილიელი მიმომხილველები იუწყებიან, ამ გადაწყვეტილების მიზანია ნაკრების კადრების შენარჩუნება მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომლისთვისაც ჩილეში ფრიად სერიოზულად ემზადებიან.

1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ჩილიელ ფეხბურთელებს უკვე აღარ დაუშლიან უცხოეთში წასვლას.

• •

### ეს შემოიღო „იუვენტუსმა“

„ბებერ ქალბატონად“ წოდებულმა ცნობილმა იტალიურმა კლუბმა „იუვენტუსმა“ (ტურინი) ასეთი ტრადიცია შემოიღო: ყოველი სეზონის დამთავრების შემდეგ გუნდის ხელმძღვანელობა თავის საუკეთესო მოთამაშეს ასახელებს და სპეციალურ ჯილდოსაც გადასცემს.

1970 წელს „იუვენტუსის“ № 1 მოთამაშე იყო ცენტრალური თავდამსხმელი ანასტაზი, შარშან კი ასეთად ცნეს „იუვენტუსში“ მოთამაშე ცნობილი დასავლეთგერმანელი ნახევარმცველი ჰალერი, რომელსაც ამ დღეებში გადაეცა კიდეც ჯილდო.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## ქალთა XVI.

თბილისის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს დედაქალაქის ქალთა XVI სპარტაკიადა, რომელიც ქალთა საერთაშორისო დღეს ეძღვნება.

ვთავაზობთ დარჩენილ შეჯიბრებათა კალენდარს:

**მძლეოსნობა.** 20 თებერვალი. ლენინის სახ. სტადიონის მანეჟი.

**სპორტული ტანვარჯიში.** 20-21 თებერვალი. თბილისის სპორტსაზოგადოებათა სამმართველოს ტანვარჯიშული დარბაზი (სტალინის სახ. სანაპირო № 8).

**ცურვა.** 20 თებერვალი. „შრომითი რეზერვების“ აუზი (ოქტომბრის ქ. № 134).

ტურნირების დასაწყისი: დღეს — 11 ს., ხვალ — 18 ს.

## პატრიკ პერა ემშვიდობება ყინულის სარბიელს

ლიონი, 18 თებერვალი. ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების, აგრეთვე, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი (სწორედ ამიტომ მას „მუდამ მესამეს“ უწოდებენ), ფიგურული ციგურაობის ფრანგი ოსტატი პატრიკ პერა წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში (მარტი, კალგარი) და მსოფლიო უნივერსიადაში აღარ გამოვა. მან განაცხადა, რომ თავს ანებებს სპორტს და მთელ დროს უნივერსიტეტში სწავლას მოანდომებს.

შემდგომში პერა პარიზში აპირებს ფრანგული ყინულის რევიუს ჩამოყალიბებას.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ № 14.

უე 04446